



**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №004/19¹
რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა**

ქრისტინე მაისურაძე (სტუდენტი)

1. ეთიკის კომისიას ადვოკატმა მიმართა შემდეგი შეკითხვით

ადვოკატის მიერ თავდაპირველი კლიენტის წინააღმდეგ სხვა საქმეზე წარმომადგენლობის განხორციელება, თუ კლიენტს აქვს საფუძვლიანი მოლოდინი, რომ ადვოკატი კვლავ გაუწევს მას მომსახურებას და წარმოადგენს მის ინტერესებს სასამართლოში რამდენად ეთიკურია და ხომ არ არღვევს ნდობისა და კონფიდენციალურობის პრინციპს.

2. სამართლებრივი შეფასება

ადვოკატმა საკუთარი მოქმედებით უნდა გაამართლოს კლიენტის ნდობა და უნდა უზრუნველყოს, რომ არ დაირღვეს კონფიდენციალობის პრინციპი, რომელიც ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან.

გამომდინარე იქედან, რომ საქმეები ერთმანეთს არ უკავშირდება, მაშასადამე არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტის არცერთი შემთხვევა. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ვერ იქნება დაცული პროფესიული ვალდებულებები ადვოკატის მიერ ორივესთვის საადვოკატო მომსახურების გაწევისას. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი გადაწყვეტს „მეორე კლიენტს“ გაუწიოს მომსახურება თავდაპირველი კლიენტის წინააღმდეგ სხვა საქმეზე და ამასთან, ადვოკატი განაახლებს თავდაპირველი კლიენტის წარმომადგენლობას, ან იქნება მოლოდინი იმისა, რომ სამომავლოდ გაუწევს მომსახურებას - ვერ იქნება დაცული ეთიკური ვალდებულებები ორივეს მიმართ, რადგან შეუძლებელია, ადვოკატი იცავდეს ფიზიკურ პირ კლიენტს და მის წინააღმდეგ აწარმოოს სასამართლო დავები, თუნდაც სხვადასხვა საქმეში.

სავარაუდოა, რომ კლიენტს ვერ იქნება მის მიმართ ნდობა, რადგანც მის წინააღმდეგ იმოქმედებს სხვა საქმეში და შესაძლებელია, მეორე კლიენტის საქმის წარმოებისთვის სასარგებლო ინფორმაცია მიიღოს პირველი კლიენტისგან და გამოიყენოს მის საზიანოდ.

3. დასკვნა

ადვოკატმა არ უნდა განხორციელოს წარმომადგენლობა კლიენტის წინააღმდეგ სხვა საქმეზე მიუხედავად საქმეთა დაკავშირების არ არსებობისა. ადვოკატი ვალდებულია თავდაპირველ კლიენტს შეატყობინოს, რომ სამომავლოდ ვერ იქნება მისი ადვოკატი ან პირველი კლიენტისთვის მომსახურების გაწევის შემთხვევაში, უარი განუცხადოს მეორე კლიენტს წარმომადგენლობის განხორციელებაზე.

¹ <https://www.gba.ge/pdf/5d2c69571d99c.pdf/004.19%20werilobiti%20rekomendacia%2025.05.19.pdf>